N 85 2016 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის №1 დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 7**

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის უფროსი;

ბ) სამსახურის უფროსი;

გ) ბიუროს უფროსი;

დ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ე) სამმართველოს უფროსი;

ვ) მინისტრის მრჩეველი;

ზ) მთავარი ბუღალტერი;

თ) კონსულტანტი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის უფროსი თანაშემწე;

ბ) მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე;

გ) მთავარი სპეციალისტი;

დ) მინისტრის მოადგილის თანაშემწე.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) უფროსი სპეციალისტი;

ბ) დამხმარე მოსამსახურე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**